ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061008

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	38,000
სულ ბიუჯეტი:	38,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელმშემწყობი ღონისძიებების გატარებით სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარება და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე საქსტატის მონაცემებით ახალგაზრდებში აღინიშნება. პრობლემის მიზეზი ბაზარზე მოთხოვნა/მიწოდებას შორის არსებული დისბალანსია, რაც განპირობებულია სწავლასთან შეუთავსებელი გრაფიკით, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ახალგაზრდების კვალიფიკაციისა და უნარების შეუსაბამობითა და სამუშაო გამოცდილების არქონით. ქვეპროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემათ შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, რაც მათი კარიერული ზრდის პერსპექტივაა და ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას. ქვეპროგრამის მოსარგებლეა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის მქონე პირი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტუდენტთა პრაქტიკული უნარჩვევის შეძენა	40	950	38,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			38,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომწოდებლის განსაზღვრა და ხელშეკრულების გაფორმება	X	X		
შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით მოკლევადიანი განთლების მოდულების შემუშავება	X	X		

ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება	X	X		
ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შერჩევა		X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	
სერტიფიცირებულ ბენეფიციართა დასაქმების ხელშეწყობა		X	X	X
ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება, და ანალიზი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლე სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლე სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	40	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებული, სამუშაო გამოცდილების მქონე ბენეფიციარი;	არაუმეტეს 40	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში